



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2015 წლის 31 ივლისის
№1648 დადგენილები

მოდიფიცირებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
№ 01-05-04/96 დადგენილებით
2018 წლის 2 აპრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

- I. სახელწოდება:** კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი
- II. სარეგისტრაციო ნომერი:** 07101-3
- III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი
- V. დაშვების წინაპირობა :** საბაზო განათლება
- VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საპროექტო ორგანიზაციებში; მერიის შესაბამისი სამსახურებში; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახურში; სამშენებლო, სამანქანათმშენებლო და სხვადასხვა საინჟინრო კომპანიებში.
კურსდამთავრებულსაქვს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.
მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს აითვისოს უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საკითხებში. გამოიყენოს კომპიუტერული დაგეგმარების და არქიტექტურული ინფორმატიკის საშუალებები სხვადასხვა დანიშნულების პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.
- VII. მიზანი:**
პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შემდეგი კომპეტენციები: კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა, საინჟინრო გრაფიკული, კონსტრუქციული და სამანქანათმშენებლო ნახაზების შესრულება და ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების მართვა. არქიტექტურული და სამშენებლო ობიექტების, გარემოს ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი (2D, 3D) მოდელირება, ვიზუალიზაცია და ანიმაცია; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რასტრული გამოსახულების დამუშავება.
შემოქმედებითი მიდგომა ინოვაციური ამოცანების ამოხსნის და დანერგვის საკითხებში. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად; კონკრეტული პროფესიული დარგის სპეციფიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.
- VIII. სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ობიექტის გამოხაზვა გრაფიკული ტრადიციული მეთოდით;
- კომპიუტერულ პროგრამაში ნახაზის ელექტრონული ვერსიის შესრულება;
- სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მოწყობილობების მზადყოფნაში მოყვანა;
- საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შესაძლებელია შემუშავდეს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

X. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	2	კომპიუტერული ქსელები და აპარატურული უზრუნველყოფა	2
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	5		
მეწარმეობა 1	2	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)	5		
უცხოური ენა	4	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad	5		

		-2 (3D მოდელირება)			
სამოქალაქო განათლება	2	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-3 (ვიზუალიზაცია და ანიმაცია)	3		
ქართული ენა A2	15	სამგანზომილებიანი მოდელირება და ვიზუალიზაცია (3DsMax)	5		
		გრაფიკული რედაქტორი Photoshop CS	3		
		საინჟინრო გრაფიკა	3		
		კონსტრუქციები არქიტექტურაში	3		
		სამანქანათმშენებლო ხაზვა	3		
		არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები - 1	3		
სულ:	31	სულ:	48	სულ:	2

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% - ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი

მარიამ ყავრელიშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

დავით გურგენიძე

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მიღებულია
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
30.03.2018 ოქმი №25

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

დავით გურგენიძე